თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6421799

ნომერი: AR1960717

თარიღი : 12.04.2023

გაცემის თარიღი : 19.04.2023

გაცნობის თარიღი : 19.04.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის VI შესახვევი, N 4;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ქეთევან ბაბაჯანაშვილი პ/ნ 01027058252
- ქ. თბილისი, ჯავახეთის ქ.9ა კორპ. ბინა 1

ორგანიზაცია:
- შპს "ემ ფროფერთი" კოდი: 405570207

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 28 მარტის №6389610 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 12 აპრილს №AR1960717 განცხადებით მომართა ქეთევან ბაბაჯანაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2023 წლის 28 მარტის №6389610 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ღია ავტოსადგომების ფართობთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 28 მარტის №6389610 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის VI შესახვევი №4-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.17.11.027.065), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის („ა“ ბლოკი) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 28 მარტიდან 2024 წლის 04 თებერვლის ჩათვლით.
სამსახურის 2023 წლის 05 აპრილის №6403626 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2023 წლის 28 მარტის №6389610 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ფართობად დაფიქსირდა „ა“ ბლოკის ღია ავტოსადგომების ფართობი 236.7 კვ.მ. ასევე, სამსახურის 2023 წლის 28 მარტის №6389610 ბრძანებით შეთანხმებული გენ-გეგმა ჩანაცვლდა 2023 წლის 29 მარტის №AR1957792 განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გენ-გეგმით.
განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2023 წლის 28 მარტის №6389610 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას. კერძოდ, მისი განმარტებით აღნიშნულ ბრძანებაში გამორჩენილია „ბ“ ბლოკისთვის განკუთვნილი ღია ავტოსადგომის ფართობის (518.6 კვ.მ.) ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ფართობად დაფიქსირება. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 28 მარტის №6389610 ბრძანებით შეთანხმებულ (სამსახურის 2023 წლის 05 აპრილის №6403626 ბრძანებით ჩანაცვლებულ) გენ-გეგმაზე „ა“ ბლოკისთვის განკუთვნილი 18 ღია ავტოსადგომის ფართობთან (236.7 კვ.მ.) ერთად დატანილია „ბ“ ბლოკისთვის განკუთვნილი 37 ღია ავტოსადგომიც და „ბ“ ბლოკისთვის განკუთვნილი ღია ავტოსადგომების საერთო ფართობი შეადგენს 518.6 კვ.მ-ს. ამასთან, აღსანიშნავია რომ წინამდებარე განცხადებით ხდება მხოლოდ სამსახურის 2023 წლის 28 მარტის №6389610 ბრძანებით შეთანხმებულ (სამსახურის 2023 წლის 05 აპრილის №6403626 ბრძანებით ჩანაცვლებულ) გენ-გეგმაზე დატანილი „ბ“ ბლოკისთვის განკუთვნილი ღია ავტოსადგომების ფართობის (518.6 კვ.მ.) ბრძანებაში ასახვა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2023 წლის 28 მარტის №6389610 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 28 მარტის №6389610 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ფართობად დაფიქსირდეს „ბ“ ბლოკისთვის განკუთვნილი ღია ავტოსადგომების ფართობი 518.6 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 28 მარტის №6389610 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 28 მარტის №6389610 და 2023 წლის 05 აპრილის №6403626 ბრძანებებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.